საქმე დს-შ/1-13 **26 ივლისი, 2013 წელი**
ქ. თბილისი
მიღების ადგილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა
შემადგენლობა:

მაია ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი მოსამართლე)
მოსამართლეები: ვასილ როინიშვილი, ნუგზარ სხირტლაძე

სხდომის მდივანი - ქეთევან ბერეკაშვილი

საჩივრის ავტორი - ადვოკატი მ. ნ-ე. წარმომადგენელი - ნ. კ-ი.

მოწინააღმდეგე მხარე - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, წარმომადგენლები - ს. ლ-ა. და თ. ხ-ი.

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2012 წლის 14 დეკემბრის №053/12 და №054/12 გადაწყვეტილებები

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2012 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წერილის საფუძველზე, დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად, "ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ" დებულების 5.2. მუხლის შესაბამისად, ადვოკატ მ. ნ-ს მიმართ აღიძრა დისციპლინური დევნა, რასაც საფუძვლად დაედო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორის განმარტებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2012 წლის 3 აპრილს მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე მ. ა. საქართველოს წინააღმდეგ. გადაწყვეტილების მიხედვით, განმცხადებელმა მ. ა-მ ევროსასამართლოს მიმართა განცხადებით 2009 წლის 16 თებერვალს. მის ინტერესებს იცავდა ადვოკატი მ. ნ-ე. 2011 წლის 12 ოქტომბერს განმცხადებელმა ევროსასამართლოს პირადად აცნობა, რომ მას სურდა განცხადების გამოტანა, ვინაიდან შესაბამისმა შიდა ორგანოებმა დაიწყეს მისი სხვადასხვა დაავადებების სათანადო მკურნალობა. 2011 წლის 28 ნოემბერს განმცახდებლის წარმომადგენელმა - მ. ნ-მ თავისი კლიენტის სახელით განაცხადა პროტესტი განცხადების გამოტანასთან დაკავშირებით იმ საფუძვლით, რომ მის კლიენტს ციხის თანამშრომლებმა აიძულეს და ფიზიკური ძალადობის მუქარის ქვეშ დააწერინეს თხოვნა განცხადების გამოტანის შესახებ.

2011 წლის 6 დეკემბრის წერილით, ევროსასამართლომ ადვოკატ მ. ნ-ს პროტესტი მთავრობას გაუგზავნა კომენტარისათვის იმის გასარკვევად, განმცხადებელმა და მისმა ადვოკატმა განიხილეს თუ არა აღნიშნული საკითხი ერთმანეთთან პროტესტის წარდგენამდე. 2011 წლის 8 დეკემბერს საქართველოს მთავრობის წარმომადგენელმა ევროსასამართლოს მითითების შესაბამისად, ადვოკატი მ. ნ. მიიწვია საპყრობილეში, რათა საკითხი ერთად განეხილათ და გამოვლენილიყო განმცხადებლის რეალური პოზიცია განცხადების გამოტანასთან დაკავშირებით. მათ შორის შეხვედრა შედგა 2011 წლის 19 დეკემბერს რუსთავის საპყრობილეში. შეხვედრის სტენოგრაფიული ჩანაწერით როგორც გაირკვა, განმცხადებელმა მხოლოდ შეხვედრისას შეიტყო ადვოკატ მ. ნ-ს პროტესტის შესახებ. განმცხადებელმა დაადასტურა ევროსასამართლოდან განცხადების გამოტანის სურვილი და აღნიშნა, რომ მასზე არასოდეს ჰქონია ადგილი სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ზეწოლას და საქმის წარმოების შეწყვეტის მოთხოვნა მისი ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება იყო. 2011 წლის 20 დეკემბერს სასამართლოსადმი განკუთვნილ წერილში ადვოკატმა მ. ნ-მ აღიარა, რომ მას არ გაუვლია კონსულტაცია განმცხადებელთან 2011 წლის 28 ნოემბრის პროტესტის წარდგენამდე.

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2012 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით ადვოკატი მ. ნ. ცნობილ იქნა ბრალეულად „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის" ნორმებისა და "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოვალეობების დარღვევა-ჩადენაში, რისთვისაც მას "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 34.1. "ა" მუხლის საფუძველზე, დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი - გაფრთხილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ადვოკატი მ. ნ. წარმოადგენდა მ. ა-ს ინტერესებს ევროსასამართლოში 2009 წლის 16 თებერვლიდან. მ. ა-მა- ევროსასამართლოს პირადად აცნობა, რომ მას სურდა განცხადების გამოტანა. ეთიკის კომისიამ სადავოდ მიიჩნია ის გარემოება, რომ ადვოკატმა მ. ნ-მ 2011 წლის 28 ნოემბერს ევროსასამართლოს მიმართა წერილობით თავისი კლიენტის სახელით და განაცხადა პროტესტი განცხადების გამოტანასთან დაკავშირებით, ვინაიდან ევროსასამართლოს მომართვასა და მ. ნ-ს ახსნა-განმარტებებში განსხვავებული პოზიციებია გამოხატული მოცემულ გარემოებასთან დაკავშირებით.

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატ მ. ნ-ს მხრიდან დაირღვა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, "ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში ან ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს". ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, "ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობებზე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირებთან, რომლებიც ახორციელებენ მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას".

ეთიკის კომისიის განმარტებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წესების (2012 წლის 1 მაისის მდგომარეობით) 44 დ[4] წესის მიხედვით, "თუ განმცხადებლის წარმომადგენელი აკეთებს შეურაცხმყოფელ, არასერიოზულ, გამაღიზიანებელ, შეცდომაში შემყვან ან გულისგამაწყალებელ განცხადებებს, პალატის თავმჯდომარემ შეიძლება ჩამოაცილოს წარმომადგენელი პროცესს, უარი განაცხადოს, მიიღოს ყველა ან განცხადებათა ნაწილი ან მიიღოს ნებისმიერი ზომა, რომელსაც შესაბამისად მიიჩნევს, კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 ნაწილის დარღვევის გარეშე".

ეთიკის კომისიის მითითებით, "ადვოკატთა შესახებ" კანონის მე-3 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, საადვოკატო საქმიანობის ერთ-ერთი პრინციპია "კანონიერება". ამავე კანონის მე-6 მუხლის პირველი ნაწილით, "ადვოკატს უფლება აქვს, კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით". ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, "ადვოკატი ვალდებულია, დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებული მისი საქმის წარმოებასთან". ასევე, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, "ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის შესახებ".

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2012 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წერილის საფუძველზე, დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად, "ადვოკატთა დისციპლინური

წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ" დებულების 5.2. მუხლის შესაბამისად, ადვოკატ მ. ნ-ს მიმართ აღიძრა დისციპლინური დევნა, რასაც საფუძვლად დაედო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორის განმარტებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2012 წლის 3 აპრილს მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე მ. კ. საქართველოს წინააღმდეგ. გადაწყვეტილების მიხედვით, განმცხადებელმა მ. კ-მ ევროსასამართლოს მიმართა განცხადებით 2010 წლის 19 ივლისს. მის ინტერესებს იცავდა ადვოკატი მ. ნ. 2011 წლის 21 ოქტომბერს განმცხადებელმა ევროსასამართლოს პირადად აცნობა, რომ მას სურდა განცხადების გამოტანა, ვინაიდან შესაბამისმა შიდა ორგანოებმა დაიწყეს მისი სხვადასხვა დაავადებების სათანადო მკურნალობა. 2011 წლის 28 ნოემბერს განმცხადებლის წარმომადგენელმა მ. ნ-მ თავისი კლიენტის სახელით განაცხადა პროტესტი განცხადების გამოტანასთან დაკავშირებით იმ საფუძვლით, რომ მის კლიენტს ციხის თანამშრომლებმა აიძულეს და ფიზიკური ძალადობის მუქარის ქვეშ დააწერინეს თხოვნა განცხადების გამოტანის შესახებ.

2011 წლის 6 დეკემბრის წერილით, ევროსასამართლომ ადვოკატ მ. ნ-ს პროტესტი გაუგზავნა მთავრობას კომენტარისათვის იმის გასარკვევად, განმცხადებელმა და მისმა ადვოკატმა განიხილეს თუ არა ერთმანეთთან ეს საკითხი პროტესტის წარდგენამდე. 2011 წლის 8 დეკემბერს საქართველოს მთავრობის წარმომადგენელმა ევროსასამართლოს მითითების შესაბამისად, ადვოკატი მ. ნ. მიიწვია საპყრობილეში, რათა საკითხი ერთად განეხილათ და გამოვლენილიყო განმცხადებლის რეალური პოზიცია განცხადების გამოტანასთან დაკავშირებით. ადვოკატმა უარყო მთავრობის წარმომადგენლის შემოთავაზება და განმცხადებელი კონფიდენციალურად მოინახულა ციხის საავადმყოფოში, რაც, როგორც მომდევნო წერილობითი განცხადებით გაირკვა, მათ შორის კამათში გადაიზარდა. 2011 წლის 20 დეკემბრის წერილში ადვოკატი მ. ნ. იტყობინება, რომ შეხვედრის დროს მას კლიენტმა დაუდასტურა, თუმცა გასაკვირად აგრესიულად, თავისი სურვილი, შეეწყვიტა საქმის წარმოება ევროპულ სასამართლოში.

2012 წლის 2 იანვარს მთავრობამ გააკეთა კომენტარი, რომ ადვოკატმა აშკარად გადაამეტა თავის უფლებამოსილებას, როცა კლიენტის სახელით განზრახ გააკეთა ცრუ განცხადებები, რაც დაადასტურა შეხვედრის სტენოგრაფიულმა ჩანაწერმა, რომ განმცხადებელსა და მის ადვოკატს შორის პროტესტის შეტანის შესახებ შეთანხმება არ ყოფილა.

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2012 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით ადვოკატი მ. ნ. ცნობილ იქნა ბრალეულად "ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის" ნორმებისა და "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოვალეობების დარღვევა-ჩადენაში, რისთვისაც მას "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს

კანონის 34.1. „ა" მუხლის საფუძველზე, დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი - გაფრთხილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ადვოკატი მ. ნ. წარმოადგენდა მ. კ-ს ინტერესებს ევროსასამართლოში 2010 წლის 19 ივლისიდან. მ. კ-მ 2011 წლის 21 ოქტომბერს ევროსასამართლოს პირადად აცნობა, რომ მას სურდა განცხადების გამოტანა. ეთიკის კომისიამ სადავოდ მიიჩნია ის გარემოება, რომ ადვოკატმა მ. ნ-მ 2011 წლის 28 ნოემბერს ევროსასამართლოს მიმართა წერილობით თავისი კლიენტის სახელით და პროტესტი გამოთქვა განცხადების გამოტანასთან დაკავშირებით, ვინაიდან ევროსასამართლოს მომართვასა და მ. ნ-ს ახსნა-განმარტებებში განსხვავებული პოზიციები იყო გამოხატული მოცემულ გარემოებასთან დაკავშირებით.

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატ მ. ნ-ს მხრიდან დაირღვა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, "ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში ან ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს". მავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, "ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობებზე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირებთან, რომლებიც ახორციელებენ მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას".

ეთიკის კომისიის განმარტებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წესების (2012 წლის 1 მაისის მდგომარეობით) 44 დ[4] წესის მიხედვით, "თუ განმცხადებლის წარმომადგენელი აკეთებს შეურაცხმყოფელ, არასერიოზულ, გამაღიზიანებელ, შეცდომაში შემყვან ან გულისგამაწყალებელ განცხადებებს, პალატის თავმჯდომარემ შეიძლება ჩამოაცილოს წარმომადგენელი პროცესს, უარი განაცხადოს, მიიღოს ყველა ან განცხადებათა ნაწილი ან მიიღოს ნებისმიერი ზომა, რომელსაც შესაბამისად მიიჩნევს, კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 ნაწილის დარღვევის გარეშე".

ეთიკის კომისიის მითითებით, "ადვოკატთა შესახებ" კანონის მე-3 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, საადვოკატო საქმიანობის ერთ-ერთი პრინციპია "კანონიერება". ამავე კანონის მე-6 მუხლის პირველი ნაწილით, "ადვოკატს უფლება აქვს, კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით". ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, "ადვოკატი ვალდებულია, დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებული მისი საქმის წარმოებასთან". ასევე, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილის

შესაბამისად, „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის შესახებ“.

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ მ. ნ-ს მხრიდან ადგილი ჰქონდა ზემოაღნიშნული ნორმების დარღვევას, რამაც გამოიწვია მისთვის დისციპლინური სახდელის სახით გაფრთხილების შეფარდება.

მითითებული გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრა ადვოკატმა მ. ნ-მ, რომელმაც მოითხოვა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2012 წლის 14 დეკემბრის №053/12 და №054/12 გადაწყვეტილებების გაუქმება შემდეგი საფუძვლით:

საჩივრის ავტორის მითითებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილებები დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე მიღებულ იქნა კანონდარღვევით, ვინაიდან ეთიკის კომისიამ დაარღვია განხილვის ვადა, რაც გაწერილია “ადვოკატთა შესახებ” კანონით და “ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ” დებულებით. ასევე, ზემოთ მითითებული კანონის დარღვევით ჩაჰბარდა მას გასაჩივრებული გადაწყვეტილებები. საჩივრის ავტორმა ასევე აღნიშნა, რომ მის მიერ პირნათლად, პროფესიონალურად და ღირსეულად იქნა შესრულებული მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, რისი დამადასტურებელი მტკიცებულებებიც წარდგენილ იქნა მის მიერ ეთიკის კომისიაში, მაგრამ ეთიკის კომისია დაეყრდნო ევროპული სასამართლოს 2012 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილებებს, რომელიც პრეიუდიციული ძალის მქონედ მიიჩნია, რაც საჩივრის ავტორის აზრით, არასწორია.

სადიციპლინო პალატამ საქმის ზეპირი განხილვისას „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის მიხედვით (კანონის ანალოგია), საოქმო განჩინებით გააერთიანა ორი ერთგვაროვანი დისციპლინური საქმე, რამდენადაც მიიჩნია, რომ ორივე შემთხვევაში ადვოკატი იყო მ. ნ. საქმე ეხებოდა მის ქმედებას და ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე სახდელი იქნა გამოყენებული.

სადისციპლინო პალატის სხდომაზე გამოიკვეთა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მხრიდან მოცემული საქმის განხილვისას უდავოდ ჰქონდა ადგილი პროცესუალურ დარღვევებს, კერძოდ, ეთიკის კომისიამ დისციპლინური საქმის განხილვას უფრო მეტი დრო მოანდომა, ვიდრე ამას კანონი ითვალისწინებდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილებები საჩივრის ავტორს ჩაჰბარდა ვადის დარღვევით - 5 თვის დაგვიანებით, ასევე გასაჩივრებული გადაწყვეტილებები მიღებულია 2012 წლის 14 დეკემბერს და არა იმ დღეს, როცა საბოლოო სხდომა ჩატარდა.

საქმის ზეპირი განხილვისას ეთიკის კომისიის წარმომადგენელმა თ. ხ-მ სცნო ზემოაღნიშნული პროცესუალური დარღვევები, ამასთან, განმარტა, რომ საქმის განხილვის გაჭიანურება და სხვა პროცესუალური დარღვევები

გამოწვეული იყო სხდომის რამდენჯერმე გადადებით, რასაც საქმის შინაარსობრივ განხილვაზე და მის შედეგზე გავლენა არ მოუხდენია. ამდენად, მოწინააღმდეგე მხარე არ დაეთანხმა წარმოდგენილ საჩივარს და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილებების ძალაში დატოვება.

სადისციპლინო პალატის სხდომაზე საჩივრის ავტორმა და მისმა წარმომადგენელმა სრულად დაუჭირეს მხარი საჩივარს და მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილებების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი

სადისციპლინო პალატა მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, ეთიკის კომისიის გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2012 წლის 14 დეკემბრის №053/12 და №054/12 გადაწყვეტილებები უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს ეთიკის კომისიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონის 73-ე მუხლის „დ“ პუნქტის (კანონის ანალოგია) თანახმად, უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა იღებს გადაწყვეტილებას სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების თაობაზე, თუ „გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული ან დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია“. მოცემულ შემთხვევაში, ეთიკის კომისია გასაჩივრებულ გადაწყვეტილებებში შემოიფარგლა მხოლოდ ცალკეულ გარემოებებზე მითითებით ისე, რომ არ გამოუკვლევია მნიშვნელოვანი მტკიცებულებები და არ უმსჯელია, თუ რა ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით იქნა მიღებული აღნიშნული გადაწყვეტილებები.

სადისციპლინო პალატა იზიარებს საჩივრის ავტორის არგუმენტებს იმასთან დაკავშირებით, რომ ეთიკის კომისიის მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილებები მიღებულია მნიშვნელოვანი პროცესუალური დარღვევებით და განმარტავს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის შესაბამისად, ადვოკატის მიმართ დისციპლინურ დევნას აღძრავს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია, რომელიც ინფორმაციის შემოსვლიდან ერთი თვის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას დევნის აღძვრის ან დევნის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-5 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში დისციპლინური საქმის წარმოების მინდინარეობა ორ ეტაპად, რომელიც

ხორციელდება საპროცესო კოლეგიაში და შემდეგ განხილვის კოლეგიაში. ამავე დებულების მე-13 მუხლის თანახმად, საპროცესო კოლეგიამ დისციპლინურ საქმეზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საჩივრის ან მიმართვის მიღებიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო განხილვის კოლეგიამ დისციპლინურ საქმეზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ გადაწყვეტილების მისთვის გადაცემიდან სამი თვის ვადაში.

მოცემულ შემთხვევაში, როგორც მ. ა-სთან, ისე მ. კ-სთან მიმართებაში ადვოკატ მ. ნ-ს მიმართ საჩივარი ეთიკის კომისიაში შეტანილ იქნა 2012 წლის 16 მაისს, დისციპლინური დევნა აღიძრა კანონით დადგენილ ერთთვიან ვადაში - 2012 წლის 15 ივნისს, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილება ეთიკის კომისიის მიერ მიღებულ იქნა 2012 წლის 14 დეკემბერს, ანუ დევნის აღძვრიდან არა 3 თვის, არამედ 6 თვის შემდეგ. ამასთან, მიღებული გადაწყვეტილება ადვოკატ მ. ნ-ს ჩაბარდა 2013 წლის 18 მაისს - 5 თვის დაგვიანებით, მაშინ, როცა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 20-ე მუხლი ითვალისწინებს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლის მხარეებისათვის გაგზავნას გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის განმავლობაში. ასევე, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ საქმეზე ეთიკის კომისიის ბოლო სხდომა ჩატარდა 2012 წლის 3 დეკემბერს, რომელზეც მიღებული გადაწყვეტილება არ გამოცხადებულა და გასაჩივრებული გადაწყვეტილებები დათარიღებულია ამავე წლის 14 დეკემბრით. აღნიშნულთან დაკავშირებით, მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელმა თ. ხ-მ მიუთითა რომ პროცესუალურ დარღვევებს ნამდვილად ჰქონდა ადგილი, მაგრამ საქმის განხილვის გაჭიანურება ნაწილობრივ გამოწვეული იყო სხდომის რამდენიმეჯერ გადადებით, რომელსაც ადვოკატი მ. ნ. შუამდგომლობდა, რასაც არსებითი გავლენა არ მოუხდენია გადაწყვეტილების მიღებაზე, იმდენად, რამდენადაც გასაჩივრებული გადაწყვეტილებები კანონშესაბამისია.

სადისციპლინო პალატა იზიარებს საჩივრის ავტორის მოსაზრებებს და მიიჩნევს, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მხრიდან ადგილი ჰქონდა პროცესუალურ დარღვევებს, კერძოდ, ეთიკის კომისიამ უგულებელყო „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების შესაბამისი ნორმები და გადაწყვეტილება მიიღო საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების ჩაბარებისათვის დადგენილი ვადების დარღვევით.

სადიციპლინო პალატის განმარტებით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 39-ე მუხლის თანახმად, ეთიკის კომისია კანონით დადგენილ შემთხვევებში იხილავს დისციპლინურ საქმეს ამ დებულების მე-3 და მე-4 თავით დისციპლინური კოლეგიებისთვის დადგენილი წესით, ამავე დებულების 33-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, „მხარეთა ახსნა-განმარტებების შემდეგ, განხილვის კოლეგია უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით განიხილოს და შეამოწმოს სადავო ფაქტებთან დაკავშირებული

მტკიცებულებები“, ასევე მე-8 პუნქტის თანახმად, „განხილვის კოლეგიას უფლება აქვს სხდომაზე მოიწვიოს და შეკითხვებით მიმართოს მოწმეებსა და ექსპერტებს საქმეში არსებული გარემოებების გამოკვლევის მიზნით, ასევე მისცეს მხარეებს მათთვის შეკითხვების დასმის საშუალება“.

სადისციპლინო პალატა თვლის, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გადაწყვეტილებების მიღებისას დაეყრდნო მხოლოდ ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებს - „მ. ა. საქართველოს წინაღმდეგ“ და „მ. კ. საქართველოს წინააღმდეგ“ და ისე მიიღო გასაჩივრებული გადაწყვეტილებები, რომ არ გამოუკვლევია მ. ნ-ს მიერ საქმეზე დართული მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, მაშინ, როცა ზემოაღნიშნული ნორმების გათვალისწინებით შეეძლო, არა მხოლოდ მხარეთა შუამდგომლობების საფუძველზე, არამედ თავისი ინიციატივითაც შეემოწმებინა სადავო ფაქტებთან დაკავშირებული გარემოებები; კერძოდ, გამოერკვია, ნამდვილად ჰქონდა თუ არა ადგილი ძალადობას ციხეში მ. ა-ზე და მ. კ-ზე, ასევე უნდა გამოეკვლია, იყო თუ არა აღძრული სისხლის სამართლის საქმე ციხის იმ თანამშრომლებზე, რომელთა კონკრეტულ გვარებსაც მსჯავრდებული მ. ა. ეთიკის კომისიაში წარდგენილ განცხადებაში მიუთითებდა (ტ1. ს.ფ. 29), აღნიშნულთან დაკავშირებით, ეთიკის კომისიას ასევე არ შეუფასებია ადვოკატ მ. ნ-ს მიერ საქმეში წარმოდგენილი განცხადებები და მოსაზრებები, სადაც საუბარია პატიმრებზე ზეწოლის ფაქტებზე (ტ.1 ს.ფ. 16-28; ტ.2. ს.ფ. 14-21), ეთიკის კომისიამ ასევე ყურადღება არ მიაქცია საქმეში არსებულ საქართველოს სახალხო დამცველის 2009 წლის 22 ივნისის ოქმს, სადაც მსჯავრდებული მ. ა. აღნიშნავს, რომ დაწესებულების უსაფრთხოების უფროსის, ციხის უფროსის მოადგილისა და ოპერატიული მორიგის მხრიდან მასზე განხორციელდა ფიზიკური ზეწოლა. ამავე ოქმში აღნიშნულია, რომ მ. ა-ს ზურგის არეში აღენიშნებოდა მოწითალო ფერის სიხლჩაქცევები (ტ.1. ს.ფ. 35). ამასთან, ეთიკის კომისიის მხრიდან ხარვეზიან დოკუმენტად იქნა მიჩნეული მ. კ-ს წერილი, რომელიც ადვოკატმა მ. ნ-მ წარადგინა ეთიკის კომისიაში და მას შეფასება არ მიეცა იმ მოტივით, რომ მას თან არ ახლდა მ. კ-ს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ტ.2. ს.ფ. 78-80).

საჩივრის ავტორმა მ. ნ-მ 2013 წლის 26 ივლისს სადისციპლინო პალატის სხდომაზე წარმოადგინა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №8 დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის მ. კ-ს განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ თუ არ მოაწერადა ხელს ვ. ც-ს მიერ მოტანილ ტექსტს ევროსასამართლოდან საჩივრის გამოტანის თაობაზე, მოხდებოდა მისი ლიკვიდაცია, ამავდრიულად მასზე ხორციელდებოდა ფიზიკური ანგარიშსწორება, რის გამოც თავის ადვოკატს მ. ნ-ს მიუთითა, რომ აღნიშნულის შესახებ ეცნობებინა ევროპული სასამართლისათვის და დაადასტურა, რომ ადვოკატი მოქმედებდა მისი მითითებით. სადისციპლინო პალატის სხდომაზე საჩივრის ავტორმა ასევე აღნიშნა, რომ ციხის კონკრეტულ თანამშრომლების მიმართ პროკურატურაში მიმდინარეობდა ძიება სწორედ პატიმრებზე არაადამიანური მოპყრობის მუხლით.

სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებები დაუსაბუთებელია ადვოკატისათვის დაკისრებული სახდელის ნაწილშიც. პალატა განმარტავს, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სახდელი უნდა გამომდინარეობდეს ჩადენილი გადაცდომის არსიდან, ანუ გადაცდომის ხარისხი და სიმძიმე, ასევე გადაცდომაში ადვოკატის ბრალი და მისი ხარისხი ერთობლიობაში უნდა განაპირობებდეს სახდელის გადაცდომასთან შესაბამისობას. აღნიშნული კი საბოლოო ჯამში განაპირობებს იმას, რომ შერჩეული სახდელი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იყოს ერთი და სრულად გამორიცხავდეს სხვა სახდელის შეფარდების შესაძლებლობას. მოცემულ შემთხვევაში, ეთიკის კომისიას ერთი ადვოკატის მიმართ ერთგვაროვან საკითხებზე საქმეები არ გაუერთიანებია და შესაბამისად, მიღებულ იქნა ორი გადაწყვეტილება და ორივე საქმეზე სახდელის ერთი და იგივე ზომა - გაფრთხილება იქნა გამოყენებული.

აღნიშნულთან დაკავშირებით სადისციპლინო პალატა განმარტავს, რომ "ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ" დებულების 29-ე მუხლის თანახმად, თუ საპროცესო კოლეგიას გადაეცა რამდენიმე საჩივარი (მიმართვა) ერთი და იმავე ადვოკატის წინააღმდეგ, რომელიც წარდგენილია ერთი მხარის მიერ, მას აქვს უფლება ისინი გააერთიანოს ერთ წარმოებად და მიიღოს ერთიანი გადაწყვეტილება.

სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, საჩივარი წარდგენილია ერთი მხარის მიერ და ერთი და იმავე ადვოკატის წინააღმდეგ (მ. ნ.) ამავდროულად საქმის ფაქტობრივი გარემოებებიც სრულიად ერთგვაროვანია, რის გამოც პალატა თვლის, რომ ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე, №053/12 და №054/12 გასაჩივრებული გადაწყვეტილებები უნდა გაეერთიანებინა.

ამდენად, სადისციპლინო პალატა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ" კანონის 73-ე მუხლის „დ" პუნქტის საფუძველზე აუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებებს, მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილებების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მათი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. შესაბამისად, სადისციპლინო პალატა ვერ გამოიტანს დასკვნას, აღნიშნულმა დარღვევებმა გამოიწვია თუ არა არსებითად არასწორი გადაწყვეტილების მიღება, რამდენადაც გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობა მისი არსებითი სისწორისა და კანონშესაბამისობის შემოწმების განმსაზღვრელ ძირითად კრიტერიუმსა და წინაპირობას წარმოადგენს. ამდენად, გასაჩივრებული გადაწყვეტილებები ექვემდებარება გაუქმებას და ეთიკის კომისიაში ხელახლა განსახილველად დაბრუნებას. ამასთან, სადისციპლინო პალატა მიუთითებს ეთიკის კომისიას, რომ იმსჯელოს ზემოაღნიშნულ პროცესუალურ დარღვევებზე, გამოიკვლიოს და შეაფასოს წარდგენილი მტკიცებულებები და მიიღოს კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილება.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ იხელმძღვანელა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის „დ“, 73-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტებით (კანონის ანალოგია) და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. ადვოკატ მ. ნ-ს საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2012 წლის 14 დეკემბრის №053/12 და №054/12 გადაწყვეტილებები და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს ეთიკის კომისიას;
3. გადაწყვეტილების ასლები გადაეგზავნოთ მხარეებს;
4. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება;

თავმჯდომარე: /მაია ვაჩაძე/

მოსამართლეები: /ვასილ როინიშვილი/

/ნუგზარ სხირტლაძე/